№ 42 28 თებერვალი, სამშაბათი 1866—1878 28 თებერვალი, სამშაბათი № 42

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. Გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1878 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და მიმართულებით, როგორც დღემდინ გამოდიოდა ხოლმე.

ხელის-მოწერა

თ ფ ი ლ ი ს შ ი—„მიიღება დროების“ რედაქციაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში).

გ ა რ ე შ ე მ ც ხ ო ვ რ ე ბ თ ა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію „Дроэба“.*

ფასი გაზეთისა

მთელის წლისა	8 მან.	„ კაპ.
ექვსის თვისა	4 „	50 „
Ოთხის თვისა	3 „	„ „

უმორჩილესი თხოვნა ხელის-მომწერლებსა და აგენტებს: **ხვედრი ფული გაზეთისა იმის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს გამოგზავნილი;** თუ არ აგენტების საშუალებით, ისე რედაქცია უ ფ უ ლ ო თ გ ა ზ ე თ ს ა რ ა ვ ი ს ა რ გ ა უ გ ზ ა ვ ნ ი ს.

რედაქციისაგან

Თუმცა თითქმის მუდამ დღე არის ჩვენს გაზეთში გამოცხადებული, რომ ნახევარის წლის გაზეთის ფასი არის 4 მან. და ათი შაური, მაგრამ ზოგიერთი ხელის-მომწერლები მაინც კიდევ მარტო 4 მანეთს აგზავნიან.

Ამის გამო საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ რომ იმ ხელის-მომწერლები, რომელთაც ნახევარი წლის ფასად 4 მანეთი შემოუტანიათ, თუ დანარჩენ ათ შაურსაც არ შემოიტანენ, 1 ივნისს მოესპობათ გაზეთის გზავნა.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲦᲘ, 25 თებერვალს. Გაზეთს „Ახალ დროებას“ Ოდესიდამ სწერენ, რომ ორშაბათს უნდა მივიდნენ იქ ღენ. Იგნატიევი და Ოსმალეთის დანდობილი პირნი. Ადმირალი Არკასი სტამბოლში მიდის. Გუშინ მოვიდნენ აქ ხომალდით ღენ. სტოლეტოვი, აგრეთვე სომხის ეპისკოპოსები: მინას, Იზმირიან, გორსპ და ნერსესი; ერთი ამათგანი პეტერბურღში მიდის.

ᲕᲔᲜᲐ, 24 თებერვალს. „Პოლიტიკურს კორრესპონდენციას“ სწერენ ბუხარესტიდამ, რომ რუსის ჯარებმა დაიჭირეს ბესარაბიის ქალაქები: Იზმაილ, Კამულ, და ბელგრადი; ამის თაობაზე რუმინიის მინისტრები შეიკრიბნენო და განზრახვა აქვთო, რომ ევროპის სახელმწიფოებს შესჩივლონო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 24 თებერვალს. Ოსმალეთის მმართებლობა სთხოვს ევროპის სახელმწიფოებს, დაუშალონ საბერძნეთს Თესალიისა, Ეპირის და Ზანდიის კუნძულის აჯანყებულების დახმარება, თორემ იძულებული ვიქნებით, რომ Თესალიაში და Ეპირში ძლიერი ჯარი და ბობარტ-ფაშაც თავის ფლოტით გავგზავნოთ.

ᲕᲔᲜᲐ, 25 თებერვალს. Ანდრაშიმ ილაპარაკა დღეს დელეგაციების კრებაში, რომელსაც სამინისტრო სთხოვს ომის საჭიროებისათვის ხაზინიდამ ფულების დახარჯვის უფლებას. Ამბობენ, რომ დე-

ფელეტონი

მშვილდ-ისრით ნადირობა

(ქუთაისის ცხოვრების სურათები)

Უკაცრავათ ვარ Ახალციხელ მეფელეტონესთან, რომ არ შემიძლიან ვეწვიო ხანადიროთ, ჯერ-ჯერობით მაინც; ბევრი საქმე გვაქვს აქაც; არ ივარგებს, რომ ეს ჩვენი ვითარება ხელ-უხლებელი დარჩეს: დაგვემდურებიან.

Უბედური ბედის ვყოფილვართ: ყველაფერი მოქცეული შეგვექნა: ტაროსიც, კაციც, სიტყვაც და ყველაფერი, ყველაფერი, ერთის სიტყვით.

Ბატონო, ისეთი ზამთარი დაგვიდგა წელს, რომ რაღა გითხრათ; სწორეთ ეს მესამე თვეა, რომ წვიმა-თოვლი, სიცივე და ტბები არ გვშორდება. მოგვბეზრდა თავი და, თუ ცოტა კიდევ გაჭსტანა ასე, სწორეთ ბათუმისაკენ ვაპირობთ წასვლას და იქ დასახლებას, თუ გზაზე არავინ აგვეჩხირა, ვსთქვათ Იხგლისი, ან ვინმე სხვა თავის ფლოტით. მაგრამ არც ასეა საქმე; ფიქრი არაფრისაა: სულ კუდით ქვას ვასროლინებთ ყველას!

Კაცის მოქცეულობაზე რაღა მოგახსენოთ? Ვერაფერს საფუძვლიანს და პატივსადებს ვერ იპოვით ვერც მის სიტყვაში, ვერც მის საქმეში.

Ზოგნი ისე ჰტრიალობენ, როგორც მელავი თევზი: ერთს გადაჰტრიალდებიან, იბრჭყიალებენ და მერმე ისევ მეორე მხრით დაგვენახვებიან.

Ზოგნი კი მხოლოთ ერთხელ გაიელვებენ, ერთხელ დაჰსჭექავენ, როგორც მაჭახელა, და მერმე სულს განაბავენ...

Სხვებს უნდათ სასარგებლო კაცის სახელი დაიმსახურონ და ისეთ საქმეს ჰკიდებენ ხელს, რომელიც ახლანდელს მდგომარეობაში საჭიროებას კი არა, განცხრომას შეადგენს და სხვა უფრო საჭირო საქმე უყურადღებოთ დაგდებულია.

Მაგრამ ვიცი, ზოგიერთი მკითხველი საშინელი იჭვიანია: არაფერს არ დაიჯერებს, თუ ყველაფერზე ფაქტები არ დაურთე. Ბატონი ბრძანდებით, დიდის კმაყოფილებით ვეცდებით მოვიყვანოთ რამდენიმე.

Აი აგერ ის ახალგაზდები, რომელნიც სანამ მოვიდოდენ თავის ქვეყანაში, ჰექაქუხილს გვიგზავნიდენ, მჩხვლეტავ სიტყვებს გვესროდენ და ახლა როცა მოვიდენ, ოხ, ღმერთო ჩემო, რანაირ სურათს ვხედავთ!... Ახლა განაბულან, ვითომ აქ არაფერი ამბავიაო! რომელიც ენას საშინლათ ასანსალებდა, ხელებს და ფეხებს „ვინ ხარ მამაცით!“ აქნევდა, ვითომ ცუდი ქცევით შეჰზარული, მას ენაც გაქვავებია და ხელ-ფეხიც; მხოლოთ კუჭი დარჩენია ნორმალურ მდგომარეობაში, არ დაუკარგავს ამ უკანასკნელს თავისი ელასტიკური თვისება: რო-

ლეგაციები ამ უფლებას მისცემენ მმართებლობასაო.

ომის ამბები

შერიგების თაობაზე

ლონდონის გაზეთს „Daily Telegraph“-ში დაბეჭდილია გაცხარებულია მოწინავე სტატია რუსეთის წინააღმდეგ, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი:

„რუსეთმა ერთობ ბევრი სთხოვა ოსმალეთს. მაგრამ ინგლისის ენერგიულ შუამავლობის წყალობით, იმან ესევე წაიღო უკან ორი მუხლი მორიგების პირობებისა: პირველი, რომ რუსის ჯარები სტამბოლში უნდა შევიდნენო და მეორეც რომ ოსმალეთმა დაუთმოს იმას თავის ფლოტი.

„უეჭველია, რომ, თუ ინგლისი შემდეგშიაც ასე ენერგიულად იმოქმედებს, კიდევ რამდენსამე მუხლს დაათმობინებს ის რუსეთსა.“

—

გაზეთის „Indép. Belge“-ისაგან ვენიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ავსტრიის დელეგაციებმა მხოლოდ მაშინ მისცეს მმართებლობას ომის საჭიროებისათვის ფულის დახარჯვის უფლებაო, როცა გრაფ ანდრასიმ სიტყვა მისცა იმათაო, რომ „მე ვიქნები პასუხისმგებელი იმაშიო, რომ მშვიდობიანობა იქნებაო, თუ კი ამ უფლებას მოგვცემთო.“

—

ზემოხსენებულსავე გაზეთში იწერებიან ლონდონიდამ 8 თებერვალს:

„გენერალ იგნატიევმა კარგათ იცის ოსმალეთის დიპლომატების ხასიათი და ამიტომ რაც შეიძლება მომეტებულს სთხოვს მორიგების პირობებში; იცის, რომ ვაჭრობას დაიწყებენ და იმასაც დათმობა დასჭირდება. ბოლოს კი იმას მიიღებს რუსეთისათვის, რაც კი ეჭირებათ“.

საქართველო

დღიური

*** რედაქციას მოსდის ხშირად ქალაქს გარეშე ხელის-მომწერლებისა და სხვა პირებისგანაც თხოვნა (ხან-და-ხან ფულებით), რომ ესა და ეს ქართული წიგნი გვიყიდეთ და გამოგვიგზავნეთო.

საჭიროთ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ რედაქციას ამ გვარი მინდობილობის კისრვა არ შეუძლიან, რადგან ერთის მხრით ეს რედაქციის მოვალეობას არ შეადგენს და მეორე მხრით, კიდეც რომ უნდოდეს ამგვარი მოთხოვნილების ასრულება, დრო და მოცალება არა აქვს.

მაგიერად, ამ პირების სანუგეშებლადა და საცოდნელად ჩვენ შეგვიძლიან გამოვაცხადოთ, რომ ამ ერთ-ორ კვირაში ქალაქში გაიხსნება ქართული წიგნის მაღაზია, რომლიდამაც იმათ შეეძლებათ ყოველგვარი ქართული წიგნების დაბარება. ამ მაღაზიის ადრესი და პირობები გაზეთში იქნება გამოცხადებული.

*** გორის უეზდის სოფ. ცხინვალიდამ გვწერენ შემდეგ ამბავს, რომელიც გვიმტკიცებს იმ ჰაზრის სიმართლეს, რომ ცუდი მამასახლისების ამორჩევა და საზოგადოთ ურიგოთ წაყვანა სასოფლო სასამართლოების საქმეებისა ხშირად დაბალი ადმინისტრაციის ბრალი არისო:

გიორგობის თვის 27-ს ცხინვალის საზოგადოებას ამოურჩევია, თითქმის ერთხმად, ერთი იქაური მცხოვრები ვ. შ. ხალხს იმედი ჰქონია, რომ ეს ახლად-ამორჩეული მამასახლისი კარგათ და პატიოსნად წაიყვანდა სოფლის საქმეებს; მაგრამ ამ თებერვლის ექვსს ცხინვალში მისულა ადგილობრივი პრისტავი და ყოველის უმიზეზოთ გამოუცხადებია ხალხისთვის, რომ თქვენგან ამორჩეული მამასახლისი არ დამტკიცდებაო; ესა-და-ეს კაცი უნდა ამოირჩიოთო!

ხალხს მაინც კიდევ ისევ ვ. შ. ამოურჩევია, და ახლა არ იციანო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, აღირსებენ იმათ ამ ორჯერ ამორჩეულ მამასახლისს, თუ პრისტავი თავის კანდიდატის ამორჩევას უბრძანებს ხალხსაო.

სამართალი

ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა პირველი

27 თებერვალს

როგორც ადრევე იყო გამოცხადებული, დღეს, 27 თებერვალს, ტფილისის ოლქის სასამართლომ დაიწყო განხილვა ანდრეევსკის ქალის მკვლელობის საქმისა.

ყველას კარგათ ახსოვს—თუ რა მღელვარება აღძრა და რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ საბრალო ქალის მოკვლამ ამ ორი წლის წინათ, რამდენი საფუძვლიანი და უსაფუძვლო ლაპარაკი აღძრა ამ ამბავმა მაშინ,—და ამიტომ ადვილად გასაგებია ის ინტერესი, რომელიც უნდა დაებადა იმას ახლაც ჩვენს საზოგადოებაში.

მართლაც, მსურველები, რომელთაც ამ საქმის გარჩევაზე უნდათ დასწრება, ათასობით არიან, მაგრამ, რადგან 300 ბილეთის მეტი არ არის, ამის გამო ბევრნი უნუგეშოთ დარჩნენ...

თუმცა ბრალდებულნი 10 საათზე მოიყვანეს და მოწმებიც ამ დროისთვისვე იყვნენ დაბარებულნი, მაგრამ მეორე საათამდინ სხდომა არ დაწყებულა, რადგან მოელოდნენ ერთს ბრალდებულთაგანს ზურაბ ქორიძეს, რომელიც საავათმყოფოში სწევს; ბოლოს სასამართლოს მოუვიდა საავათმყოფოდგან ქა-

---

ზინასავით კიდეც გაიწევს და კიდეც მოიწევს. რასაკვირველია, ამ გაწევ-მოწევას თავის „მინიმუმიცა აქვს და „მაქსიმუმიც“. მინიმუმს „ათას-ხუთასი“ მანეთი ჰქვია და მაქსიმუმს „დაუბოლოებელი რიცხვი“, თუ მეტი ექნება, ეგ არაფერია, ამისთანა ტვირთი არ არის დამამძიმებელი.

რას ჰშვრებით, ბატონებო, წინეთ იმედებო და ახლა ბატონებო? დაგავიწყდათ თქვენი ლაღადება?

„საქმისას აქ ნურას გვეუბნებით. ჩვენს ქვეყანაში რო მივალთ, იქ ვიშრომებთ მაშინ, იქ მოვკიდებთ საქმეს ხელს, არ დავაწვებით ხალხს ტვირთად; ვეცდებით მისი აუცილებელი საჭიროების დაკმაყოფილებასო!“ უცხო ქვეყანაში თუ ეს იყო თქვენი სიტყვა, ახლა რა მოხდა, რომ თქვენს ქვეყანაში „თავი ქუდში“, გიკრავთ და ტანზე ქურქი ჩაგიცვამსთ კრავისა, რომელშიაც ვერაფრით ვერ განგასხვავებსთ თქვენ კაცი მგლის ტყავში მოსეირნეთაგან?

„რა ვქნათ? მამა, დედა, ცოლი, შვილი...“ კაი, კაი, ნუღარ ლაპარაკობთ! თუ შრომა მძიმე არ იყოს, თუ ცოტაოდენი მსხვერპლის შეწირვა საჭირო არ იყოს საზოგადო საქმისათვის, არც კი ექნებოდა ფასი მისთვის შრომას. რომ ცხოვრების გზა სპარსული ხალიჩებით იყოს მოგებული და არა ეკლნარით, მაშინ ხომ ყველა უთქვენოთაც გაგოგდებოდა ზედ, და თქვენ რაღა საჭირო იქნებოდით?

ან ზოგი იმას ამბობთ, რომ ჩვენი ხალხისა და საზოგადოების შემხედვარე სასოწარკვეთილობაში ვართო ჩავარდნილი! ჯერ რომ ხელი არ გაგინძრევიათ?. ჭრელი წიგნების დაჭერა თუ გინდოდათ ხელში, ან „ოტნოშენიების“ წერა, ამას რა ყვირილი უნდოდა? ამისთვის, როგორც თქვენ უფრო მოგეხსენებათ, რამდენათაც უფრო ცოტას იყვირებს კაცი და ქვეშ-ქვეშ ცოცვას დაიწყებს, უკეთესია.

ამით დაკმაყოფილდი, მკითხველო. ამ კაცების დასახელება საჭირო აღარ არის. ისინი ისე ბევრი არ არიან, რომ მითითება იყოს მათზე საჭირო. ისინი არიან ახალი დამატება იმ გრძელის მოთხრობისა, რომელსაც საუბედუროთ კაი ხანია ვკითხულობთ.

ღმერთო, სად არის ის ბრძნული სახე, ის ღრმა ჩაფიქრება, რომელიც ვინ იცის რამდენ ჭრელს და საამურს სურათს გვიხატავდა მომავალში! ეჰ, რა ვქნათ? ნათქვამია: „ეკლის ნავალზე ეკალი ამოვაო“. ძუძუსთან შეზრდილ დიდ-კაცობას ხალხის ბედთან ხელი არა აქვს თურმე. მაგრამ ამაზედ შემდეგში. ახლა სხვა რამ.

—

მომდგომია აგერ ჩემი პატარა ძმა და მისი ტირილით ხვეწნა გულს მიწუხებს, თქვენთან ბაასს მაწყვეტინებს. ჩემი პატარა ძმა გახლავსთ აქაური პროგიმნა-

ლოდი, რომ ბრალდებულის ქორიძის მოყვანა არ შეიძლებაო, რადგან ისეთი მძიმე ავათმყოფი არისო, რომ ლოგინიდამ ვერ დაიძვრის და დღე-დღეზე მოკვდებაო.

ამის გამო 1 საათზე და 45 მინუტზე სხდომა გაიხსნა.

სასამართლოს შეადგენს: თავს-მჯდომარე მლენინი, წევრნი სასამართლოისა: უფ. პოლტორაცკი და ჩემისოვი, პროკურორი ხოლადოვსკი, ადვოკატები: ბრალდებულების დავით და ნიკო ჩქოტუებისა თ. ნ. ორბელიანი და პეტრე ზაბისონიასი—უფ. ტიხამიროვი.

ზალა სასამართლოისა სავსეა ხალხით; მომეტებული ნაწილი ქალები არიან. მოუთმენელად მოელიან ბრალდებულების, განსაკუთრებით დავით ჩქოტუას, შემოყვანას და ნახვას. სხვათა შორის. აქ არის ბრალდებულთ ჩქოტუების მამაც-

მეორე საათის ნახევარზე სამნივე ერთად შემოიყვანეს. დავით ჩქოტუას დანახვამ არავითარი განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოახდინა; ვისაც ადრე ენახა, ამბობდა, რომ იმაში არავითარი ცვლილება არ მომხდარაო. ის შემოვიდა თამამად თითქო აქ არ არის-რაო, თითქო სრულებით ბრალდებულად არ გრძნობს თავის თავსაო. ის არის 29 წლის ყმაწვილი კაცი, შავ-თვალ-წარბა, შავ-წვერ-ბიანი, შავი გრძელი თმა დიაკვანივით ჩამოუშვია უკან. „მაწკიპინებული ულვაშებიო“ რომ იტყვიან იმერლები, ისეთი ულვაშები აქვს. ტუჩებს როგორღაც აცმაცუნებს.

უცროსი ძმა იმისი ნ. ჩქოტუა (23 წლის) არც სახით, არც მიხრა-მოხრით და საზოგადოთ არაფრით არ არის შესანიშნავი. მესამე ბრალდებულს, მეგრელს პეტრე ზაბისონიას (27 წლის) დალონებული, მოწყენილი სახე აქვს.

სხდომის დაწყებისა-თანავე ყველაზე პირველად ბრალდებულთ ჰკითხეს თავის ვინაობა.

შემდეგ იყო მოკლე ბაასი იმის თაობაზე, რომ შეიძლება, თუ არაო, რომ ამ საქმის განხილვა დაიწყოსო, რადგან ბრალდებული ზურაბ ქორიძე არ არის ამჟამად აქაო.

როგორც პროკურორი, აგრეთვე დამცველები თანხმანი იყვნენ, რომ ეს საქმე მაინც განეხილათ, რადგან ქორიძის მოყვანა, მძიმე ავათმყოფობის გამო, შეუძლებელი არისო და ამას გარდა ბრალდებულებიც თითქმის ორი წელიწადია დამწყვდეულები არიან და ამათი ბედის გადაწყვეტაც დრო არისო. სასამართლომაც ამათ თანახმად გადაწყვიტა საქმის განხილვის დაწყება.

შეუდგნენ გამამტყუვნებელი აქტის კითხვას, რომელშიაც აწერილი იყო როგორც საქმის გარემოება, აგრეთვე ის სასჯელი, რომელსაც უნდა მისცემოდნენ ბრალდებულნი.

ჩვენ არ მოგვყავს ამ აქტის შინაარსი, რადგან საქმის გარემოება ჩვენში ყველამ იცის და ამას გარდა გაზეთის სივრცეც ნებას არ გვაძლევს. ვიტყვით მხოლოთ, რომ ამ აქტის წაკითხვამ ბრალდებულებზე თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა; მხოლოთ უცროსმა ჩქოტუამ ერთ-ორ ალაგის წაკითხვის დროს თითქმის გაჯავრებით მოჭმუხნა სახე.

მეშვიდე საათზე გაათავეს ამ აქტის წაკითხვა.

— ბრალდებულო დავით ჩქოტია, დამნაშავეთ აღიარებთ თქვენს თავს იმ დანაშაულობაში, რომელსაც თქვენ გაბრალებენ, თუ არა? ჰკითხა სასამართლოის თავს-მჯდომარემ.

— მე ჩემ თავს არ ვაღვიარებ დამნაშავედ და არავითარ დანაშაულობას ამ საქმეში არ ვხედავო,— გაცხარებით სთქვა დ. ჩქოტუამ და თან მომეტებულის მღელვარებისაგან სტოლზე მუშტი დაარტყა...

ამგვარსავე კითხვაზე ნ. ჩქოტუამ სთქვა, რომ ის „სრულიად არავითარ დანაშაულობას არ გრძნობს!“

მესამე ბრალდებულმა, პეტრე ზაბისონიამ სთქვა, რომ ის არ აღიარებს თავის თავს დამნაშავედ და რა ჭკუაზედ ახლოს არისო, რომ მე, რომელიც ერთის კვირის მისული ვიყავი ამათთან, რომელსაც დ. ჩქოტუა არც კი მიცნობდა ხეირიანათ, რომ მე დამენდობოდნენო და ამისთანა მძიმე საქმეში გამირევდნენო...

შემდეგ მოწმეები დააფიცეს ყველა თავის რჯულის წესზედ. მოწმეების რიცხვი სულ 100-მდინ იყო, მაგრამ ამათში თითქმის ნახევარი არ მოსულა, სხვადა-სხვა მიზეზების გამო; სხვათა შორის არ მოსულან არც თ. გიორგი შარვაშიძე, არც ანჩაბაძე და არც მოკლულის ნინო ანდრეევსკის ქალის დედა.

საღამოს მეშვიდე საათზე მოწმეების დაფიცების შემდეგ, სასამართლოს თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ დღევანდელი სხდომა დაიხურება და ხვალ, 28 თებერვალს, დილის 11 საათზე იქნება ამ საქმის გაგრძელებაო.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბთს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიურჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი

ზიის შაგირდი.

ხომ გაგიგონიათ, რომ აქ გიმნაზიაში და პროგიმნაზიაში ქართულს ასწავლიან მეოთხე კლასამდის, მაგრამ ვაი ამისანა სწავლებას. ჩემი ძმა მეხვეწება, რომ ქართულ სახელმძღვანელოში ნაჩვენები სტატია რუსულათ გადავათარგმნინო: „ასე თხოულობს ჩვენი ინსპექტორიო; როდესაც შემოგვესწრება ქართულ გაკვეთილზე, ქართულ სტატიებს რუსულათ გვათარგმნინებსო და მასწავლებელსაც ეუბნება, რომ ასე გვასწავლოს ქართულიო.“ ეს ქართულია, თუ რუსული? მაგრამ, როგორც კარგათ ვიცი, ეს უფალი ინსპექტორი, ყველაფერში ფორმალისტი, აქაც იჩენს თავის თვისებას. სახელათ კი იხსენებოდეს ქართული, სახრავი არ აწუხებს მას. პიდევაც რომ ქართული ენის სწავლებას, რომ ცდილობდნენ რუსულს დაეხმაროს პირ-და-პირ, განა ამნაირათ ან რუსულის შესწავლა შესაძლოა ბოვშებისათვის? ამნაირი მეთოდა ახლა გამოფუტურებულათ უნდა ითვლებოდეს.

ჩვენ კარგათ ვიცით, რა მშვენიერათაც ჰსწავლობენ ყმაწვილები ფრანცუზულს ენას ჩვენს გიმნაზიებში, მარგოს სახელმძღვანელოთი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ბოვშმა სიტყვები იზეპიროს და ჰთარგმნოს. ამნაირათ ყმაწვილებმა იმდენი იციან ფრანცუზული, რამდენიც უფალმა ინსპექტორმა ქართული იცის. მაგრამ უმიზნო, მოუფიქრებელი, საქმის წაყვანა არ გვეუცხოვება ჩვენ.,.

—

რამდენჯერმე იყო ნათქვამი, რა უბედურება ეწვია შარშან და წელს იმერეთს: საქონლის ჭირი, ყელის-ტკივილი ადამიანთათვის და სხვ. ყველაზე უფრო ამ უბედურობამ ერთს სასწავლებელში მონახა ნიადაგი. ყელის ტკივილმა ბევრი ბავშვი მოჰკლა.

ახლა კიდევ სხვა ავათმყოფობა გაუჩნდათ და ჰჟლეტავს უწყალოთ.

როცა ამისთანა სენი კარზე ადგია სასწავლებელს და ამაზე უნდა იფქროს ყველამ დიდიდამ პატარამდის, რაღაც ჟურნალის თუ გაზეთის გამოცემა მოუნდომებიათ ამისთვის ორ-ორი მანეთი გადავახდევინოთ ეს ორ-ორი მანეთები, თუ სადმე და რაიმე საშუალება იშოვება, შაგირდების ცხოვრების გაუმჯობესობაზე რამ იფიქრონ, ის არა ჰსჯობია?! ეს უწყალო ჟლეტა ხომ მათი მოუწყობელი ცხოვრებისაგანაა?

ან იქნება იმისთვის უფრო თავის გაზეთი ან ჟურნალი სასწავლებელს, რომ „დროებას“ ბაასი გაუმართოს? ვინ იცის! მაგრამ მე ვურჩევ ახალ ჟურნალისტებს, რომ ამითანა განცხრომას თავი დაანებონ, უფრო საჭირო საქმეზე იფიქრონ. ერთი ეს, და მეორე ნათქვამია: „ორ კურდღელს რომ გამოუდგება კაცი, ვერც ერთს ვერ დაიჭერსო!“ ანბანი ასწავლეთ ბოვშებს, ანბანი და სიცივ-შიმშილით ნუ დაჰხოცთ—ბევრათ უმჯობესი იქნება.

შილდ-ისრიანი

22 თებერვალს. ქუთაისი.

—შინაგანი ავათმყოფობისათვის და
—ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ ფი.,ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე და ამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა.

	ფაეტონის	დროჟკის
ერთი გზა	40 კაპ.	25 კაპ.
საათი	80 „	55 „
ქალაქიდამ—ნავთლ.ულს	80 „	50 „
— მუშტაიდამდინ —	60 „	45 „
— მუშტ. და უკან 1/2		
საათი გაჩერება 1 მან.	20 „	90 „
რკ. გზიდამ ნავთ.—2 „ —	„ 1 მან.	50 „
—დამოკონამდინ— 1 „	50 „ 1 „	— „
—ქალაქ. ყველგან 1 „	— „ — „	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.— „	80 „ — „	50 „
— ნავთლ.ულიდამ 1 „	50 „ 1 „	— „
რკინის გზამდინ და		
უკან — — —1 „	30 „ — „	90 „

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა ბ). ნაშუალამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

ს ტ უ დ ე ნ ტ ს ჰ ს უ რ ს ა ძ ლ ი ო ს უ რ ო კ ე ბ ი დ ა ბ ა ლ კ ლ ა ს ე ბ ს ი მ ო ს ა მ ზ ა დ ე ბ ე ლ ა დ.

ადრესის შეტყობა „დროების“ რედაქციაში შეიძლება.

ი ს ყ ი დ ე ბ ა
უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში.
ე შ მ ა კ ი ს ხ ა რ ო
მდებარეური ამბავი
ალ. სა. მესხიევისა.
გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.
ფ ა ს ი ე რ თ ი შ ა უ რ ი

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.
გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.
ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი.
თ ფ ი ლ ი ს ს ი ი ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

ა ბ რ ა შ უ მ ი ს ჭ ი ი ს თ ე ს ლ ი (კერცხი) იტალიის მოდგმისა, საღი ისყიდება კ ა ვ კ ა ს ი ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ზ ო ზ ვ ა დ ო ე ბ ი ს სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფ ა ს ი თითო მისხლისა ე ქ ვ ს ი შ ა უ რ ი ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

გ ა მ ო ვ ი დ ა დ ა ი ს ყ ი დ ე ბ ა „ ო ლ ი ვ ი ტ ი რ ო, თ უ ფ უ ლ ი?“

კომედია აღვ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

ი ს ყ ი დ ე ბ ა: ქ ა ლ ა ქ ს ი—ყ ე ლ ა ფ ნ ი ნ ის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—ი ო ს ე ბ ქ უ ზ მ ა ნ ა შ ვ ი ლ თ ა ნ, ქ ა რ ე ლ ს—დ ა ვ ი თ ქ ე რ ო ჩ ა შ ვ ი ლ თ ა ნ, ხ ა შ უ რ ი ს ა დ ა ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს ბუფეტში, ს უ რ ა მ ს—ზ ა ქ ა რ ი ა ა რ უ ნ ო ვ თ ა ნ, ქ უ თ ა ი ს ს—ი ა კ ო ბ ო ჰ ა ნ ე ზ ო ვ თ ა ნ და სვ. ცერცვაძესთან ფ ო თ ი ში—ელისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს—თ. ი ე. თ ა ქ თ ა ქ ო ვ თ ა ნ, ს ა ქ ა ფ ე თ ს—თ. ნ ი კ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე ს თ ა ნ, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მ ა ს წ. მ ო ს ე ნ ა თ ა ძ ე ს თ ა ნ, ბ ო რ ო ს ი—ს ტ. ზ ო მ ო ე ვ ე თ ა ნ და თ ე ი თ ო ნ ა ვ ტ ო რ თ ა ნ.

კ ა ვ კ ა ს ი ა ს ი ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა ლ მ ა ღ ზ ი ნ ე ბ ე ლ ი ს ა ზ ო ზ ვ ა დ ო ე ბ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ ი ს ა ნ ა ბ ა ნ